



მენორა

გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!

ფსალმუნი 4:7

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora

ებრაული გაზეთი საქართველოში „მენორა“ jewish newspaper in georgia "menora"	“מנורה” עיתון יהודי בגוריה	„МЕНОРА“ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ
--	---	--

0360სი (სი360) 1-15 N11 (227) (5767 წელი) 2007 წელი ფასი 50 თეთრი

מנוחה

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მას შემდეგ საქართველომ ბევრი მძიმე დღე გამოიარა – მას შემდეგ საქართველო ყოველდღე იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ საუკუნის დასასრულს გახდა ოცნება რეალური.

წელს საქართველო უფრო მეტად გაბრწყინებული შეხვდა დამოუკიდებლობის დღესასწაულს. ამ დღისთვის აქ თავი მოიყარეს უცხოეთის 40 ქვეყანაში მცხოვრებმა ქართველებმა, ქალაქები მორითო. დიდიდანვე თბილისელებმა რუსთაველის პროსპექტისკენ აიღეს გეზი – სადღესასწაულო აღლუმში სწორედ აქ გაიმართა. მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იღებს გაერთიანებული შტაბის უფროსის პატივს.

რუსთაველის პროსპექტზე მოდიან სამხედრო ნაწილები. სხვადა-

სხვა საფარისო ფორმირებები, არტილერია, ავიაცია. საქართველოს პრეზიდენტი, მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი ამბობს მისასალმებელ სიტყვას. იგი საქართველოს შეახსენებს განვლილ გზას, მიღწეულ წარმატებებს, ლაპარაკობს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე, გამოხატავს პატივისცემას ოსი და აფხაზი ხალხებისადმი.

ცხადი ხდება თუ რამდენი რამ ამორებს დღევანდელ საქართველოს თუნდაც ხუთი წლის წინანდელი საქართველოსგან – დღეს საქართველო პოტენციურ, ფეხზე შემდგარ სახელმწიფოდ გვევლინება.

მიხეილ სააკაშვილმა იმავე საღამოს ბათუმში გახსნა ახალი საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ რეგიონში – როგორც აჭარაში, ისე მის მოსაზღვრე თურქეთის ქალაქებისათვის, ცენტრალურ აეროპორტად გადაიქცევა.



28 მაისს თბილისის ებრაულ სახლს ეწვია ამერიკელი ბიზნესმენი ჰენრი პოზნერი IV. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იცინან, თბილისის ებრაული სახლი აგებულია ამ ბიზნესმენის ფინანსური შემწეობით, თუმცა თავთავიანთი წვლილი „ჯონთმა“ და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმაც გაიღო.

ჰენრი პოზნერი IV სახლის გახსნისას – 2003 წელს თბილისში ოჯახით ჩამოვიდა. ამჯერად კი თბილისში ბიზნესთან დაკავშირებით ჩამოსული ებრაულ სახლს ეწვია, რათა ენახა თუ როგორ

ჰენრი პოზნერი IV ეზრუნა სახლი

ფუნქციონირებს იგი. ბიზნესმენმა ყურადღებით დაათვალიერა თავისი პირში, გამოიყიფა, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის პროგრამა, განსაკუთრებით დაინტერესდა „ხესედ ელიაჰუს“ მუშაობით, გაესაუბრა თანამშრომლებს და წასვლისას თქვა:

– მე კმაყოფილი ვარ, ეს ნამდვილად არის ებრაული სახლი.



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იცინან, ცნობილ კომპოზიტორს ჯემალ სეფიაშვილს ამას წინათ დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

„მეც ვაზბიდი ჯაღონა..“

გუმინ და გუმინწინ 4 და 5 ივნისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა კომპოზიტორის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო, რომელიც მაცურებელს „მათიმ“ წარმოუდგინა. საღამო ჩატარდა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II ფონდის პატრონაჟით და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით.

აღსანიშნავია, რომ ამ საღამოს ჯ. სეფიაშვილი დიდი პასუ-

ხისმგებლობით მოეკიდა – თითქმის მთელი წლის განმავლობაში ამზადებდა. მასში მონაწილეობდნენ ქართველ მომღერალთა ყველა თაობის წარმომადგენელი. ამ ჩინებულმა შემოქმედებებმა საღამომ უკვე ლამის მიიწვევებულ შესანიშნავი მელოდიებიც შეგვახსენა და იმაშიც დაგვარწმუნა, რომ ჭადარამორეული კომპოზიტორი აღრინდელი შემართებით იღწვის – ახალი სიმღერებიც იქნა შესრულებული.

„იბალიური ეზო“

აბანოთუბანში აქ წარმოადგინილი გახლდათ საქართველოში მცხოვრები სომხების, აზერბაიჯანელების, პოლონელების და სხვა ხალხთა სამზარეულო, ხოლო სცენიდან ასრულებდნენ საქართველოში მცხოვრები ერების სიმღერებს. ებრაული სიმღერები შეასრულეს ცნობილმა მომღერლებმა ნეკა სე-

ბისკვერამემ და ლელა წურწუმიამ. საღამოს კი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო თოქ-შოუს ჩვენება, რომელსაც უურნალისტი გიორგი გუგუშვილი უძღვება. ებრაული თემიდან თოქ-შოუში მონაწილეობდა რუსულენოვანი ებრაული გაზეთის „შალომის“ რედაქტორი ლევ სამოვსკი.



„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“

სახითაშოხისო კონფერენცია „საქართველო და დიასპორა“

27 მაისს საქართველოში დიასპორის დღედ გამოცხადდა – ყოველ 27 მაისს საქართველოში გაიმართება დიასპორის საქართველოსაკენ მიზნობრივად მიმდინარე ღონისძიებები.

27 მაისს სასტუმრო „ქორთი-არდ მარიოტში“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და დიასპორა“.

კონფერენციაზე მონაწილეობისათვის ჩამოვიდა მსოფლიოს 140 სახელმწიფოში მცხოვრები 140 ქართველი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელიც ამ ღონისძიებას ატარებს, დიდი სამუშაო ჩაატარა, რომ კონფერენციაზე აზიის, ევროპის, თუ ამერიკის კონტინენტებიდან ჩამოსულთ კომფორტულად ეგრძნობთ თავს.

ისრაელიდან ჩამოვიდნენ მთარგმნელი **თამარ მამისთვალოვი**. რეჟისორი **დავით ცისკარიშვილი** და „ჯოინტის“ ყოფილი წარმომადგენელი საქართველოსა და აზერბაიჯანში **მეირ ზიზოვი**. ებრაული ეროვნების წარმომადგენლები სხვა ქვეყნებიდან ჩამობრძანდნენ: **ისააკ მეგრელიშვილი** (გერმანია), **უშანგი რიჟინაშვილი** (აშშ) და **ირმა ფანი** (ავსტრალია).

კონფერენციის პრეზიდენტად საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად მიწვეული გახლდათ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **შაბთაი ცური**, რომელიც გულითადად მიესალმა 40 ქვეყნიდან ჩამოსულ ქართველებს.

კონფერენციას ეწვია და გულთბილი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მან კარგად გააცნო უცხოელ ქართველებს თანამედროვე საქართველოს მავსტრალური გზა, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეებით და მიღწევებით. გამოხატა პატივისცემა უცხოეთში მცხოვრები ქართველებისადმი. მას მიიჩნია, რომ ბევრი მათგანი სამშობლოს მიუბრუნდება.

ჩვენ გამოვაცხადეთ დევიზი: დავიბრუნოთ საქართველო. ეს არ ნიშნავს მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ეს ნიშნავს სამშობლოდან გადახვეწილთა საქართველოში დაბრუნებასაც – თქვა მიხ. სააკაშვილმა. კონფერენციაზე ებრაელთაგან გამოვიდნენ **უშანგი რიჟინაშვილი**, **ირმა ფანი** და **თამარ მამისთვალოვი**. კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კონფერენციის მონაწილეებმა – სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ქართველებმა. ფერეიდინი და თურქეთიდან ჩამოსულმა ქართველებმა გულისტკივილი ვერ დამალეს იმის გამო, რომ ევროპის შედარებით ახალი ემიგრაცია სათანადოდ ვერ ფლობს ქართულ ენას. ისრაელის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებაც ჩვენ ჩვენს თავს საქართველოს დიასპორად არ მივიჩნევთ, რადგან არ მიიჩნევენ თავს, ამ კონფერენციაში მონაწილეობა ნებაყოფლობითითა.

28 მაისს კონფერენციის მონაწილენი თბილისის ებრაულ სახლს ეწვივნენ. გარდა ებრაული ეროვნების სტუმრებისა, ებრაულ სახლში მოვიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები.

მისაღმების პირველი სიტყვა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში



შაბთაი ცურიმ წარმოთქვა. მან პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა დიასპორის დღის დაწესებისათვის. ისაუბრა საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვან ურთიერთობებზე, ისრაელის განზრდილ საინვესტიციო, ტურისტულ ინტერესზე საქართველო-სადმი.

სიტყვები წარმოთქვეს, სტუმრებს მიესალმნენ: ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორი **ზაირა დავარაშვილი**, ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე – **რეზო შათაშვილი**, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი **გიორგი ხვეიაშვილი**, მინისტრის მოადგილე – **თამარ მახარაშვილი**, მწერალი **გურამ ბათაშვილი**, საქართველო-ისრაელის მეგობრობაზე ისაუბრეს, **მეირ ზიზოვი**, **გურამ პაატაშვილი**.

საკონცერტო პროგრამით მსმენელთა წინაშე წარსდგნენ **ვილი გრიგორიანი**, **ლევან დობაძეშვილი** და **მარიკა მირველაშვილი**. მათმა შემსრულებელთა თავისებურებამ სტუმართა დიდი მოწონება დაიმსახურა. ტაში დიდხანს არ წყდებოდა.

ამ საღამოს იყო ერთი დირსმესანიშნავი ფაქტი – ისრაელში მცხოვრებ ჟურნალისტს, ხუთწიგნულის ქართულ ენაზე ერთ-ერთ მთარგმნელს თამარ მამისთვალოვს გადაეცა საქართველოს საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი სიგელი. ქნ თამარს სიგელი ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხვეიაშვილმა გადასცა.

თ. კეზერაშვილმა დიდი მადლობა გადაიხადა ამ წოდებისათვის და საკუთარი წიგნები გადასცა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს თამარ მახარაშვილს და მომღერალს მარიკა მირველაშვილს.

სტუმრებიც და მასპინძლებიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ საღამოს მიმართ. ეს საღამო, მართლაც, დასტურით გახლდათ იმ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა, რომელიც ამ ორ ერს შორის არსებობს – ემიგრანტი ქართველებიც და ქართველი ებრაელებიც საქართველოს შეილები არიან, სადაც არ უნდა იყვნენ, თუნდ საქართველოს ფარგლებს გარეთ ისინი ცდილობენ საქართველოს რაიმე არგონ.

სიტყვა სტუმრებმაც ითხოვეს: **მერაბ გაბრიაძე (უკრაინის პარლამენტის (რადას) დეპუტატი):**

– მოგესალმებით ყველას, მადლობას მოგახსენებთ მასპინძლობისათვის. იმ პერიოდში, როცა საქართველოს მიმართ არაკეთილი დამოკიდებულება გამოემდგინა რუსეთის მხრიდან, ჩვენ დამოუკიდებლობის მოედანზე, კონსერვატორიის შენობაში ზეიმი გაემართეთ. ეს იყო უკრაინისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობის დასტური. მიხარია, რომ დღეს აქ, ამ შენობაში

ვიმოფიები, დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ. მე, ალექსანდრე ფრიდმანთან ერთად, იულია ტიმოშენკოს პარტიის წევრი ვარ, უკრაინაში ებრაელებთან ერთად ვაკეთებთ კარგ საქმეს.

დარეჯან დამბაშიძე (საბერძნეთი):

– ემოციებით ვარ სავსე, ვიმოფიები იქ, სადაც ორი ერის მეგობრული სიყვარულია. დიდი სითბოთი აღვსილი მივიდვარ თქვენს თბილი სახლიდან. ყოველთვის, როცა ებრაელ ადამიანს შევხვდები, ამ საღამოს გავიხსენებ. არც ერთ ერს ისე ახლოს არ მიუტანია გულთან საქართველო, როგორც ეს ებრაელმა ხალხმა გააკეთა. დიდი მადლობა!

ტაჯიკეთიდან ჩამოსული **გიორგი კობერიძე**, მოძვე ებრაელ ერს საკუთარი ლექსით მიესალმა.

ვალერი ქორბაძე – (რუსეთი).

– აფხაზეთიდან წავიღე რუსეთში. ლტოლვილი ვარ. ბედის უკუღმართობით ისე მოხდა, რომ ვინც საკუთარი მიწიდან ამყარა, იმან შემიკვლია. მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას ამ თბილი დახვედრისთვის. სოხუმში ბევრი ებრაელი მეგობარი მყავდა, ალბათ, მრავალი უკვე აღარც არის ცოცხალი. მაგრამ მჭირდა ბედნიერება მათთან ახლო მეგობრობის. საოცარი პიროვნებები იყვნენ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ორგანიზატორებს და თქვენ.

იაკობ კოშაძე (ესტონეთი):

– მოგესალმებით ყველას. საქართველო 1977 წელს დავტოვე. ესტონეთში ვცხოვრობ. დიდი სიყვარულით მინდა გავიხსენო ჩვენი მეგობარი ებრაელი ხალხი. მაშინ როცა ესტონეთში ნაციონალური მოძრაობა აღორძინდა, ჩვენს სათვისტომოს არ ჰქონდა ადგილი, რომ ერთად შევეკრებოთ. ადამიანები, ვინც ჩვენ დახმარება გავიწვია, ებრაელები იყვნენ. მათ თავიანთ სკოლაში ადგილი გამოგვიყვეს. სულ ახლანავე ესტონეთში, ტალინში სინაგოგა გაიხსნა, ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტია. მახსენდება ერთი ამბავი. მე იაკობი მქვია, როცა ვსწავლობდი, ყველა მეკითხებოდა: „ებრაელი ხარ?“ – ვპასუხობდი „არა“, იმათ კი ეგონათ, ვმალავდი, რადგან მათ ყველგან ავიწროებდნენ, მე კი ვერ ვხვდებოდი, რატომ იქცეოდნენ ასე. მადლობა ყველას.

თემურ ვვითელაშვილი (რუსეთი):

– მოგილოცავთ ყველას დიასპორის დღეს. ეს ნამდვილად საამყო დღეა ყოველი ჩვენგანისთვის. მე საქართველოს მოქალაქე ვარ, მაგრამ ალბათ, საჭიროდ ჩათვალეს აქ ვყოფილიყავი. განსაკუთრებული მადლობა ამ ფორუმის ორგანიზატორებს, რადგან დიასპორაში მცხოვრებმა ქართველებმა იგრძნეს, რომ საჭირონი არიან. საკუთარ სამშობლოში კვლავაც ახსოვთ, ეს დიდი ბედნიერებაა.

პაველე შპეტისვილი (გერმანია):

– დღევანდელი დღე კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია ორი ერის მეგობრობისა. ჩვენი მეგობრობა კვლავაც გრძელდება. 26 საუკუნე ძალიან დიდი დროა, მაგრამ ჩვენ კიდევ მრავალი საუკუნე უნდა ვიყოთ ერთად. ჩვენ ერთად მტერი ვერაფერს დავაკლებს.

ქეთი ბერბანიძე (აშშ):

– დიდი მადლობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ამ ფორუმის მოწყობისათვის. სულ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში ბატონმა გურამ ბათიაშვილმა ჩამოგვიტანა ახალი ფილმი, გაიმართა პრემიერა ფილმისა „თუ დაგივიწყო, იერუსალიმი“, მეც ვესწრებოდი ამ ფილმს და ის განცდა, რაც ამ ფილმის შემდეგ დამჩნა, დღემდე მომეკვება. დღეს სხვაგანაც უნდა წავსულიყავი, როცა მკითხეს, როდის დამთავრდება ღონისძიება, ვუპასუხე – არ ვიცი, მაგრამ ვიცი როგორიც იქნება და რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს უნდა დავჩქე-მეთქი. დიდი მადლობა ყველას.

ისააკ მებრელიშვილი: ვპრუდენტი ბერბანიძე, რომ კვლავ ვინილემ ჩემი საპარტიველო!

ამ განწყობით დაგვემშვიდობა საერთაშორისო ფორუმის „საქართველო და დიასპორა“-ს ერთ-ერთი მონაწილე, ყოფილი თანამემამულე ბატონი ისააკ მეგრელიშვილი (ირაკლი მეგრე).

ბატონი ისააკი ცნობილი ფსიქოთერაპევტი, ნევროლოგი, მედიცინის



მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზანა ფანასკერტელი-ციციშვილის საპატიო მედილისა და ღირსების ორდენის კავალერი გახლავთ.

ადამიანის სულის მეოხი დიდი რულუნებითა და სიყვარულით თავს დასტრიალებს სწეულთ. მედიცინა მისი პროფესიაა, მაგრამ მოწოდებით პოეტია, უკვე რვა წიგნის ავტორი გახლავთ. შთამბეჭებელი, საოცრად მდიდარი და ლამაზი ლექსიკით, სიღრმისეული აზროვნებით გამოჩენილი მისი შემოქმედება, მართლაც, საღებუნად ეცხება ადამიანთა სულსა და გულს.

ბატონმა ისააკმა 1971 წელს, ებრაელთა მასიური ალიის დროს თავის ისტორიული სამშობლოს – დედა-ისრაელს მიაშურა, ხოლო აქ თბილისში, ქალაქში, სადაც განვილილ ჭიდილ-გამარჯვებით აღსავსე ცხოვრების გრძელი მარათონი ექიმ-ფსიქიატრის პირველი ნაბიჯებიდან მსოფლიოში აღიარებულ მკურნალადმდე დატოვა სიქველითა და სიკეთით, გონიერებითა და ზნეკეთილობით გამოჩენილი ადამიანის სახელი.

ამჟამად იგი ბერლინში ცხოვრობს და სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჭაბუკური გზებითა და

შემართებით მოღვაწეობს კულტურის სფეროში.

– **ბატონო ისააკ, ვინ მოგიწვიათ ამ ფორუმზე?**

– საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრისაგან – გიორგი ხვეიაშვილისაგან ბერლინში მივიღე ოფიციალური მოწვევა. ჩემს სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვინაიდან დაბადებული ვარ საქართველოში, მეცნიერული და ლიტერატურული კურთხევა აქ მივიღე. ჩემი წასვლის მიუხედავად, სამშობლოსთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი მქონდა. თბილისში გამოიცა ჩემი რვა წიგნი და პერიოდულად ვიბეჭდებოდი ჟურნალ-გაზეთებში.

– **1998 წელს, ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ ზეიმზეც ბრძანდებოდით?**

– ოფიციალურად ვიყავი მიწვეული და წავივითხე ლექსი „დე, ვიყოთ ერთად!“ ჯერ ისრაელის რადიოში („კოლ ისრაელ“), შემდეგ უკვე – საქართველოში ჩამოსვლისას. ეს ლექსი დაიბეჭდა როგორც თბილისში, ასევე – ქუთაისში, შემდეგ კი – ჩემი ლექსების კრებულში. ლექსში ლაპარაკია იმ ისტორიულ ფაქტზე, რომელმაც ჩვენი ორი ერის ისტორიული, მარადიული ძიება ჩამოაყალიბა. მოგეხსენებათ, ჩემი ერთი გამოთქმა: „ჩვენ ქართველმა ებრაელთაგან კი არ დავტოვეთ საქართველო, საქართველო თან წავიღეთ!“

– **რა ძირეული ცვლილებები შეინიშნება ჩვენს ქვეყანაში?**

– ჩემმა ამჟამინდელმა სტუმრობამ თბილისში ალფრთოვანება გამოიწვია ჩემში. ბოლო სამი წლის განმავლობაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობისას, მოკლე დროის მიუხედავად, გრანდიოზული ცვლილებები იხილა ჩემმა თვალეებმა. განცვიფრება გამოიწვია სამების ტაძრის გრანდიოზულობამ. ჩემი იქ ყოფნის დროს, სადაც მე სიტყვით გამოვედი და ვთქვი: „თუ ტაძარში შემოვიდა ურწმუნო კაცი, აქედან გასული ის რწმენით აღვსილი იქნება“. მე იქ ვთქვი ასევე: ისტორიულად ცნობილია, რომ ქრისტიანობა აღიარებული იქნა ქართველი ებრაელების მიერ (ელიაზი, აბი-თარი და სილონი). მე ვიყავი ბედნიერი კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან მიღებისას.

– **თქვენი სურვილები.**

– მეტი აყვავება და ბედნიერება ქართველ ხალხს და საქართველოს, რათა ქართველმა ერმა მოიპოვოს ის, რაზეც ოცნებობს და იღვწის. ებრაელები გერმანიაში ბედნიერი იმით, რომ ვიხილე ჩემი საქართველო!

უშანგი რიჟინაშვილი: პოლიტიკაზე გადავირთო

ფორუმის ერთ-ერთი მონაწილე უშანგი რიჟინაშვილი – იგი ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიდა. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს დღეს თბილისში ერთ დროს ცნობილი, გამომცემლობა „მერანის“ რუსული რედაქციის მთავარი რედაქტორი უშანგი რიჟინაშვილი, მან გვიპასუხა:

ქართული ხანაშვილი 80 წლისაა

სიზმარში საქართველო ვნახე

წუხელ სიზმარში საქართველო ვნახე,
 წუხელის რაჭაში ვიყავი თითქოს,
 ვაიმე! – ვისაც კი დაუძახე,
 ხმა არავინ გამცა, ვეღარავინ მიცნო.
 ხმამაღლა ვეძახე ჩემს სიჭაბუკეს,
 არავინ ისმენდა ჩემს გულწრფელ ძახილს,
 მერცხაღს დანგრეულად ვერღოვ ბუდე,
 ხაროვით ბლოდა ჩემი ხის სახლი.
 ჭიშკარს მივაწევი და ვეღარ გავალე,
 უნდობლად მიცქერდა ენო,
 ცრემლი მორეოდა სისხლისფერ ვარდებს,
 ასე უბრალოდ და ასე უმიზნოდ.
 სიცხისგან ენა მიხმებოდა,
 ენოში მღეროდა წყარო,
 გოგონა გამოვიდა, ჭიქა მომაწოდა –
 მიირთვიო, უცნობო მგზავრო.
 ჭიქაში ლაგვარდი ცეკვავდა ლურჯი.
 შუბლს ხსნიდა ამაყი შოდა,
 სურათი თუ გაცოცხლდა, ვფიქრობდი გულში
 (შოდას სურათი უბეში მქონდა).
 რიონი „რაშოდას“ მღეროდა ისევ

და მზე უკოცნიდა ფაფარს,
 ჭიშკარდაკეტილ ენოსთან ვიდექ,
 დუმილით გაცქერდი მთა-ბარს.
 რა ახლოს იყო ჩემი ნააყვნარი,
 ჩემი სიყვარული და ტყილი ნანა,
 რატომ არ იღება ჩემი სახლის კარი,
 ნუთუ ვეღარ მიცნეს, განა?!

ნუთუ ისრაელმა ცრემლი რომ მადინა,
 არ კმარა თვალებს რომ გამაკრა ბინდი,
 შენ ხომ ვაუკაცო ხარ, ჩემო საქართველოვ,
 სიზმრად ერთი წუთით მაინც შემირიგდი.
 ისევ შემირიგდი თქვენთან მქვია,
 ხმამაღლა ვეძახე სახლსა და მინდორს,
 მაგრამ ეს ძახილი არვის შეუტყვია,
 ხმა არავინ გამცა, ვეღარავინ მიცნო.
 მერე ავტირდი და თავში წავიშინე,
 სულ ჩამოვიხიე სახე,
 ასე მე ბევრჯერ დავიძინე და
 სიზმარში საქართველო ვნახე.

დანიელ ხანაშვილი
1981 წ. 12 აპრილი

**მთელი სულითა და გულით ვულოცავ ბატონ დანიელ ხანაშვილს 80 წლის
 იუბილეს! ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას!**
 ბატონი დანიელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოში, რაჭის რაიონში დაიწყო და დღემდე გრძელდება ისრაელის ქალაქ ბეერ-შევაში. დანიელ ხანაშვილი მთელი ცხოვრება პოეზიას ემსახურება და ორი ქვეყნის, ორი სამშობლოს სიყვარული თავის შემოქმედებაში ასახა.
 მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და დღევანდელი ვუსურვო ბატონ დანიელს.


შაბთაი ცური
ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი საქართველოში

მჩაქარაქარა!

დანიელ ხანაშვილი ქართველ ებრაელთა ერთი ღირსეული წარმომადგენელია. მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი ზემო რაჭაში, ონში გაატარა. ონში საკმაოდ ძლიერი ებრაული თემი იყო და აქედან გამოსულთ არაერთს უსახელებია თავი. დანიელმა ღვთისგან მომადლებული ნიჭის წყალობით პოეზიას მიუძღვნა თავი. იგი ჯერ რაიონის პრესაში იბეჭდებოდა, შემდეგ კი დედაქალაქშიც ფართოდ გავიდა. მისი ლექსები არაერთხელ გამოაქვეყნა „ლიტერატურულმა საქართველომ“, შემდეგ წიგნებად დასტამბულიც ვიხილეთ. დანიელ ხანაშვილის პოეზია გზიბლავთ გულწრფელობით და უშუალოდ. იგი საქართველოზე უსახვეროდაა შეყვარებული და გულმხურვალედ უძღვრის მის ბუნებას, ადამიანებს. დანიელმა ტკივილიანმა დატოვა საქართველო, გული კი აქ დარჩა. არც საქართველო იფიცებს პოეტს და დროდადრო ქართველი მკითხველი მის ლექსებს ეცნობა.

მიუხედავად გარკვეული ასაკობრივი სხვაობისა, მე დანიელ ხანაშვილთან ძველი მეგობრობა მაკავშირებს. განსაკუთრებით მომწონდა მისი ლექსების ციცი რაჭველი ადამიანებისადმი მიძღვნილი. მის ბრწყინვალე ლექსში „გაბარა“ გულწრფელად აისახა ქართველი იუდეველი კაცის ტკივილები ზოგად და უბრალო მეკურტნის ტრაგედია და ნოსტალგია საქართველოს დატოვებით გამოწვეული.

დანიელ ხანაშვილი ოთხმოცი წლისაა; მინდა გულწრფელი პატივისცემით მივულოცო საიუბილეო თარიღი ამ ამაგდარ კაცს და



ვუსურვო მრავალჟამიერი სიცოცხლე. არასოდეს განვლებოდეს ებრაელი და ქართველი ხალხის სიყვარული, ჩვენ კი ხშირად წაგვეკითხოს ადამიანების სიყვარულით გამოთბარი მისი მშვენიერი ლექსები.

**აკადემიკოსი, საქართველო
ისრაელის მეგობრობის სამოგადოების
პრეზიდენტი რაინ მმტრამაშვილი**

– ჩემი ლექსები, რომელიც ორ ტომს მოიცავდა, შევკრებ და ვაგაერთიანებ. ამჟამად ამ წიგნის გამოცემით ვარ დაკავებული, იგი გამოდის იერუსალიმში – ბიო ბიბლიოთეკის გამოცემის ფორმაში. ყველა ლექსი რუსულ ენაზეა დაწერილი. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან საერთოდ ხელი ავიღე წიგნის წერაზე და გადავერთე პოლიტიკურ საქმიანობაზე. არსებობს ინტერნეტ გაზეთები, მე ვჯვავის მრჩეველი ვარ. გაერთიანებული სამი ინტერნეტ გაზეთი www.abkhazia.ru; www.abkhazia.com და www.stirim.pres-o.

– საქართველოზე რას იტყვით? რამდენად ახლა ვიცი, თქვენ მიწვეული იყავით აჭარაში, სადაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმის ახალი აეროპორტი გახსნა.

– აღფრთოვანებული ვარ როგორ გარდაიქმნა აჭარა. ეს ჰერაკლეს გმირობას მაგონებს – ყველა წარმატება უკეთესი ცხოვრების მანუალებელია.

ირმა ფანი: ვენაში მიმდინარე თემი ცხოვრობს

– ქ-ნო ირმა, გაეცანით ჩვენს მკითხველს.
– მე ვარ ირმა ფანი, ქორწინებამდე კაკი ტელაშვილი ვიყავი. დავიბადე საქართველოში.



1972 წელს საქართველოდან ოჯახთან ერთად ისრაელში წავედი. 1974 წ. კი ავსტრიაში გადავედი, სადაც დღემდე ვცხოვრობთ. ოჯახიც ავსტრიაში შევქმენი. ჩემი მეუღლე მერაბ ფანი პროფესიით ექიმი. გვაყავს ერთი ქალიშვილი – 20 წლის ინესა. იგი ვენაში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს. მეც სამედიცინო განათლება მივიღე – პროფესიით ფარმაცევტი

გახლავართ. დღეს ავსტრიაში საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ფილიალში ქალთა ასოციაციას ვებმძღვანელობ.

– რას აკეთებთ ქალთა ასოციაცია?

– ჩემთან ერთად მრავალი ქალბატონი მუშაობს, მენმარებიან საღამოების მოწყობაში. ჩვენი ორგანიზაცია სინაგოგის შენობაშია განთავსებული. სინაგოგას აქვს დიდი დარბაზი, სადაც ვაწყობთ საღამოებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენთან 3-4 თაობა იყრის თავს. ეს საამაოა. საღამოებზე ვიწვევთ ავსტრიელებს, არა მხოლოდ ებრაელებს, სხვებსაც და ვაცნობთ ჩვენს ცხოვრებას.

ჩვენთან ტარდება ლექციები. ვიწვევთ ფსიქოლოგებს, ექიმებს. ვსაუბრობთ რელიგიაცხედ. დღესასწაულების პერიოდში ვიწვევთ რაბინებს. ჩვენი, ქართველ ებრაელთა თემის რაბინი იაკობ ხოტოველია. იგი მოდის ხოლმე ჩვენთან ლექციების ჩასატარებლად მუდღესთან – სართთან ერთად. ლექციებს ატარებენ სხვა რაბინებიც – მაგალითად, „ხაბადის“ წარმომადგენლები, ავსტრიის ებრაელთა მთავარი რაბინი – პაულ აინზენბერგი, ხოლო რომ ჰამანის დღეებში ჩვენთან ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის რაბინები.

ბოლო დონისშიცაა, რომელიც ჩავატარეთ, ხანუქის დღესასწაულს მიეძღვნა. ძალიან მხიარული საღამო იყო. სტუმრები ოჯახებით მოვიდნენ. ვენაში ძალიან მეგობრული თემი გვაქვს. ყველა ერთმანეთს ვეხმარებით. ებრაული თემის მთავარ კომიტეტს ლეო რიფინსკილი ხელმძღვანელობს.

დეკემბერში ისრაელში ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელიც ისრაელის ჟურნალისტთა ასოციაციამ საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან ერთად ჩატარა. ამ სიმპოზიუმზე მეც გახლდით მსწვეული, სადაც სიტყვითაც გამოვედი. ვისაუბრე ჩვენი მუშაობის შესახებ, ჩვენს ცხოვრებაზე. საერთოდ ვენის ქართველ ებრაელებზე.

ჩვენი შეხვედრები თემში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთი ლექცია, რომელიც ამას წინათ ჩავატარეთ, ცნობილმა ფსიქონალიტეოსმა ჩატარა, თემზე „ითვლება თუ არა განათლება მანიპულატორად“. ყოველი ლექცია და მათ შორის ისიც, დისკუსიით მთავრდება.

– რამდენი ქართველი ებრაელი ცხოვრობს დღეს ავსტრიაში?

– ავსტრიაში ქართველ ებრაელთა რაოდენობა ყოველთვის იცვლება, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. დღეს ავსტრიაში გაცილებით მცირე ქართველი ებრაელია, ვიდრე იყო. მათი რაოდენობა 300-400 ადამიანამდე შემცირდა.

– როგორ ეხმარება ახალჩამოსულ ებრაელს ქართველ ებრაელთა თემი?

– როცა საქართველოდან, ან სხვა რომელიმე ქვეყნიდან ავსტრიაში ჩამოდის ქართველი ებრაელი, იგი ავტომატურად ხდება ჩვენი თემის წევრი. რა თქმა უნდა, თავიდან ყველაფერი რთულია. არ იციან ენა, ცხოვრების პირობებს არ იცნობენ. ჩვენ, როგორც შეგვიძლია ვეხმარებით, რომ ადაპტაციის პერიოდში მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ – ერთმანეთს ყოველთვის ვუდგავართ მხარში, ვეხმარებით.

– როგორ შეაფასებდით დასაბრუნების დღის დაწყებას და ამ ფორუმში ქართველი ებრაელების მონაწილეობას?

– ეს ფორუმი მეორედ ჩატარდა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მეც მერვო პატივი ფორუმის წევრი ვყოფილიყავი. სამინისტროდან და-



მიკავშირდნენ და მაუწყეს ამის თაობაზე. ალბათ, საელჩოდან ურჩიეს ჩემი მოწვევა. 35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან წავედი. მეც სიტუაციით ვისარგებლე და ჩამოვედი. ჩემმა შვილმა, როცა ამის თაობაზე შეიტყო, ძალიან გაიხარა. მას უნდოდა გაცნობოდა იმ ქვეყანას, საიდანაც თავისი მშობლების ფესვები მოდის.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამხედრო ალფრედი, შემდეგ იყო სადილი და მონაწილეები ერთმანეთს გავეცანით, სამების საკათედრო ტაძარში შევხვდით საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდეს და უნეტარეს ილია II, სადაც გუნდის შესრულებით კონცერტი გაიმართა. ფილარმონიაში დავესწარით „პატრიონის“ კონცერტს. იყო შეხვედრა

უნივერსიტეტში.

– ებრაული ორგანიზაციები თუ მონახული?

– სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა, მაგრამ დღეს ებრაულ სახლში ვართ მიწვეულები და გავეცნობი ქართველ ებრაელებს.

– რამდენი ებრაელი მონაწილეობს ფორუმში?

– სულ ჩამოსულია 140 დელეგატი, მათ შორის 8-9 ქართველი ებრაელია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველას აინტერესებს როგორ ინახავენ ქართველი ებრაელები ქართულ ტრადიციებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რატომ აქვთ მათ საქართველოზე ასეთი ნოსტალგია. ამის მიზეზი ქართული სითბოა, ის სითბო, რომელსაც ებრაელები ყოველთვის გრძნობდნენ ქართველებთან. საქართველოში ებრაელებს არ განუცდიათ არც „პოგრომები“, არც შევიწროება. ქართული ებრაული ურთიერთობა ყოველთვის საძაგალითო იყო.

მაღლობა მინდა გადავუხადო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომლის იდეითაც და მხარდაჭერითაც ჩატარდა ფორუმი. 35 წლის შემდეგ მომეცა საშუალება საქართველოში კვლავ ჩამოვსულიყავი.

სხვ შემსწავლავთ საკმარისად დაკავშირებით? ვენაში არის დაინტერესება ჩვენი თემით. პრესამ მითხრა: რა სხვაობაა ქართულ ებრაულ თემსა და სხვა ებრაულ თემებს შორის? ეს ინტერესი გამოქვეყნდა პრესაში.

ჟურნალისტები ესწრებოდნენ ჩვენს მიერ მოწყობილ საღამოებს. ერთ-ერთ ბოლო დონისშიცაა, რომელიც ხანუქაში ჩავატარეთ, აღფრთოვანებულმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რა საოცარია ოთხი თაობის ერთად ხილვა. ეს არის ქართველ ებრაელთა მენტალიტეტი.

ქალთა ასოციაცია „ვიცი“ რეგულარულად ატარებს შეხვედრებს. ამ ასოციაციის პრეზიდენტი ისრაელში ცხოვრობს. წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება შეხვედრები, წელს ვენაში ჩატარდა. ასოციაციის მიზანია თანხების მოგროვება, გაჭირვებული ოჯახების მატერიალური დახმარება. სამწუხაროა, რომ ამ ორგანიზაციას საქართველოში არ იცნობენ.

ეს ორგანიზაცია 100 წლისაა და ძალიან პრესტიჟულია. მრავალი წელია მისი წევრი ვარ. ცოტა ხნის წინათ ჩავატარეთ ფორუმი ბავშვებისათვის. შემოსული თანხა მთლიანად ისრაელში იგზავნება. ყოველ ჯერზე 5-8 ათასი ევრო შემოდის. ეწეობა საქველმოქმედო სადილები, იყრებებიან ბიზნესმენები. ეს დიდი საქმეა. აქ არ შეიძლება განვასხვავოთ ქართველი, ებრაელი და სხვა, ჩვენი ვალია დახმარება გავუწიოთ ყველას, ვისაც ეს სჭირდება.

მოამზადეს ნინო ლომიამ და ვიოლენტა ბუზიაშვილმა

ჩვენ გეგანაზე გეგანაში გეგანაში



იულია (ივნი) მელცარი

კლიმენტ ვოროშოლოვი – გოლდა გორბაჩი

არხანგელსკში, ახალგაზრდა ესერი გოლდა გორბაჩი ახალგაზრდა კლიმ ვოროშოლოვი შეაქმნა. მათ ქორწინების ნებას მხოლოდ იმ პირობით აძლევდნენ, თუ ეკლესიაში დაიწერდნენ ჯვარს. საცოლემ მართლმადიდებლობა მიიღო და იქცა ეკატერინედ. თავის სამშობლოში გოლდა რაბინმა მთელი მოსახლეობის თვალწინ დაწვევლა (ხერემს გადასცა), ებრაულ სასაფლაოზე პირობითი საფლავი გაჩნდა, სადაც გოლდას უნუგეშო მშობლები მიდიოდნენ, რათა დაკარგული შვილი გაეხსენებინათ. ეკატერინესა და კლიმენტის ნახევარსაყუროვანი ოჯახი იშვიათი პარმონიულობით გამოირჩეოდა. საკუთარი შვილები მათ არ ჰყოლიათ, მაგრამ ხუთი ბავშვი იშვილეს და გაზარდეს, ამ ბავშვთა შორის ორი მიხეილ ფრუნზეს შვილები იყვნენ.

მათი რძალი იხსენებს:

– ბაბი იარში დაიღუპა ეკატერინეს და თავის მცირეწლოვან ბავშვთან ერთად. ისედაც უხმო ეკატერინე, უფრო ჩაიკეტა თავის თავში, მაგრამ როცა ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, თავი ვედარ შეიკავა და თქვა: „აი, ახლა ჩვენც გვაქვს სახელმწიფო“. რამდენიმე უკომენტარო ფაქტი: ს.მ. კიროვის, გ.ვ. პლენანოვის, მ.გ. პერუხინის ცოლები ებრაელები იყვნენ. ეყოვის, რეოვის, კამენევის (ტროცკის და) ცოლები სტალინმა ომამდე გაანადგურა.

ვიანესლავ მოლოტოვი – პოლინა ჟემრუჟინა

1921 წ. მოსკოვში ერთ-ერთ სხლომანე მოლოტოვმა კარგად მოაზროვნე პოლინა ჟემრუჟინა შეაქმნა. პოლინა საკუთარ სახლში – ზაპოროჟიეში აღარ დაბრუნდა, მალე ვიანესლავ მოლოტოვის ცოლი გახდა. პოლინას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ აპარატის მუშაობის ცოლობა ჭკვიანი და გავლენიანი პოლინა ჟემრუჟინა (მისი ნამდვილი სახელია პერლ კარპოვსკაია) ბევრს მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო კვებისა და თევზის მრეწველობის სახალხო კომისარი. 1948 წ. მოლოტოვის სახლში გაიმართა ოფიციალური მიღება. მიღებას ესწრებოდა ახალი სახელმწიფოს – ისრაელის პირველი ელჩი გოლდა მეირი. გოლდა მეირი თავის წიგნში იხსენებს: „ჩემთან მოლოტოვის ცოლი ჟემრუჟინა მოვიდა და იდიშზე მითხრა: „მე ებრაელი ხალხის შვილი ვარ“. ისინი დიდხანს საუბრობდნენ, გამომშვიდობებისას პოლინამ უთხრა გოლდა მეირს:

– კარგად ბრძანდებოდეთ. თქვენ თუ კარგად იქნებით, მსოფლიოს ებრაელობაც კარგად იქნება.

1948 წლის ბოლოს სტალინმა ვასცა ბრძანება დაეპატიმრებინათ ყველა თავისი

გასული საუკუნის დასაწყისში ხუთთვიანი ასეთ წყვილთა ხომეონობამ მკვეთრად იმატა. ამის მიზეზი ისაა, რომ უნდა, საერთო მიზნები, ერთად მუშაობა და „ძველი სამყაროსგან განთავისუფლებისაკენ“ სწრაფვა გახდეთ. იქნებ, ეს ხელოვნური ქაბაბონები ამგვარად იმ დამოუკიდებლობას ადასტუხებდნენ, ხასაყ იუდაიზმი ითხოვდა, ან იქნებ, იმ გზით მიდიოდნენ, რომელსაც მათი ბედებში – მაქსი და ლენინი უთითებდნენ – ესენი კი ებრაელებისთვის ასიმილაციის გახდა სხვა გზას ვეი ხედავდნენ. ჩვენი მიზანია გაგაცნოთ ზოგიერთი უცნობი ფაქტი ებრაულ-ხელოვნების შექმნისა.

თანამებრძოლის ებრაელი ცოლი: ანდრეევის ცოლი – დორა ზაზანი, პოსკრებიშევის ცოლი – ბრონისლავა სოლომონოვა, დაპატიმრეს მოლოტოვის ცოლი პოლინა ჟემრუჟინა. სტალინი თავისი ვასალების ერთგულებას ასე ამოწმებდა. პოსკრებიშევის ცოლი, ტროცკის ცოლის და იყო. პოსკრებიშევა ცოლის დაპატიმრების ორდერი ხელმოსაწერად სტალინს რომ დაულო მაგიდაზე, ჩემს ცოლს – ბრონისლავას აპატიეთო, სთხოვა ბედადს. სტალინმა ორდერს ხელი მოაწერა – ბრონისლავა სოლომონოვა დაპატიმრეს და სამი წლის შემდეგ დახვრიტეს.

იაკობ ჯულაშვილი – იულია მელცარი

იაკობ ჯულაშვილის ცოლი იულია მელცარი მოცკეკევე იყო. როცა იაკობი ფაშისტების ტყვეობაში ჩავარდა, სტალინმა ბერიას განკარგულება მისცა „ის ოდესელი ებრაელი კრანსოიარსკის ოლქში გაასახლეთ, დაე, ციმბირის მზით გათბეს“... ვიდაცამ შენიშნა: თუ იულია მოსკოვში იტრიალებს, ხმები იაკობის ტყვეობაზე მტკიცებულებას მიიღებს. უმჯობესია იულია ციხეში ჩავსვათო. სტალინი დათანხმდა.

აი, ეკატერინე ვოროშილოვა ვერ დააპატიმრეს. ამბობენ, როცა მასთან ბერიას ხალხი დასაპატიმრებლად მივიდა, კლიმენტ ვოროშილოვა რამდენჯერმე გაუფრთხილებლად გაისროლა. სტალინს მოახსენეს ვოროშილოვი სროლით შეგვხვდაო. „ემშაკსაც წაულია“ – თქვა სტალინმა.

ჟემრუჟინამ დაახლოებით ხუთი წელი დაჰყო გულაგში. მისი სიკვდილის შემდეგ, უკვე ხანშიშესულმა მოლოტოვმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „მქონდა ბედნიერება დაქორწინებული ვყოფილიყავი ისეთ ქალზე, როგორც პოლინა იყო, იგი ლამაზიც იყო, ჭკვიანიც და რაც მთავარია, იყო ნამდვილი ბოლშევიკი“.

ნიკოლაი ზუხარინი – ესთერ ისაევი ზურკირი და ანა ლარინა-ლური

ნიკოლაი ზუხარინის ორი ცოლი ჰყავდა: ესთერ ზურკირი და ბოლშევიკ ლარინის (მეხეილ ლურიეს) ახალგაზრდა ქალიშვილი – ანა, დაპატიმრებისას მას მცირეწლოვანი შვილი წაართვეს. ბავშვი ბავშვთა სახლში იზრდებოდა, ისე რომ მამის ვინაობა არ იცოდა.

აი, კიდევ რამდენიმე უკომენტარო ფაქტი: ბრძენი რუსი მინისტრის სერგეი ვიტტეს მეუღლე ებრაელი – თავად პეტრე პირველის კანცლერის – შაფიროვის ქალიშვილის შთამომავალი იყო. ლილია ბრევი სამოქალაქო ომის გმირის, ლეგენდარული მეთაურის პრიმაკოვის ცოლი იყო. ხოლო ცნობილი ბორის სავიციკოვის მეუღლე ვინმე ე.ი. ზილბერგი იყო. ლეგენდარული ნიკოლაი შჩორსი ებრაელ ფრუნზეზე იყო დაქორწინებული.


კორნეი ჩუკოვსკის 1967 წლის 12 მარტის დღიურის ჩანაწერიდან: „ანარქისტ კროპოტკინის ცოლი – ებრაელია“. რატომ შეაჩერა ჩუკოვსკიმ ამ ფაქტზე ყურადღება? იმიტომ ხომ არა, რომ მათი ნიჭიერი ქალიშვილების დედა და ოჯახის დინასტიის ებრაელი იყო? უნდა ითქვას, რომ მრავალმა რუსმა მწერალმა გააკეთა ამგვარი არჩევანი. იგივე ლეონიდ ანდრე-

ევმა, არკადი გაიდარმა, ვლადიმერ ტენდრიაკოვმა. ბრწყინვალე რუს მწერალს ვლადიმერ ნაბოკოვს ორი რომანი ჰქონდა ებრაელ ქალბატონებთან, ხოლო მესამე ვერა სლონიმი მისი ცოლი და საყვარელი ქალი იყო სიცოცხლის ბოლომდე. ისინი ერთმანეთს საზღვარგარეთ შეხვდნენ, სლონიმის ოჯახი ბოლშევიკებს გაექცა საზღვარგარეთ, ისევე, როგორც რუსი არისტოკრატების – ნაბოკოვების ოჯახი, ისინი ანტისემიტობიან პრინციპიალური მებრძოლები იყვნენ.

დღეს კარგად დავიწყებული პოეტი სტუპან შიპაჩევი თავის მეგობარს წერდა: „ებრაელებს მხოლოდ წარსულში ჰქონდათ ნაცრისფერი თვალები, ისეთი როგორიც შენ გაქვს“.

ალექსეი სურკოვის ცნობილი სიტყვები სიმღერიდან, რომელსაც მთელი ქვეყანა მღეროდა, ასე ჟღერდა:

„Ты сейчас далеко, далеко. Между нами снега и снега. До тебя мне дойти нелегко, А до смерти четыре шага...“



პ. ჟემრუჟინა ქმართან ვ. მოლოტოვთან და ქალიშვილ სვეტლანასთან ერთად

იგი მეუღლეს სოფია კრევეს უმღეროდა.

აი, კიდევ ერთი ჩანაწერი ჩუკოვსკის დღიურიდან: „1956 წლის 13 მაისი. ახლა ფადეევის ერთ-ერთი ქერივი გამახსენდა – მარგარიტა ალიგერი, რომელიც თავზე უფრო მეტად უყვარდა (მას ფადეევისგან ქალიშვილი ჰყავს).“

ცნობილი საბჭოთა მწერალი ვალენტინ კატაევი სიბერეში მოსკოვის გარეუბანში ცხოვრობდა. მასზე მოსიყვარულე მეუღლე ესთერ დავიდოვნა ზრუნავდა. თვითმხილველთა სიტყვებით, ასაკის მიუხედავად, იგი ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. მათი ქალიშვილი – ვეგენია იყო ებრაელი პოეტის არონ ვერგელის ცოლი, არონ ვერგელისი მრავალი წელი ჟურნალ „Советиш геиланд“-ის რედაქტორი გახლდათ“.

კომპოზიტორი სერიაბინის ცოლი (იგი მოლოტოვის ახლო ნათესავი იყო) ტატიანა შლეგერი ელზასის ებრაელებიდან იყო. მათი ქალიშვილი არიანა კი (გიურის შემდეგ – სარა) ფაშისტების ხელით იქნა მოკლული.

ცნობილი რუსი კომპოზიტორი ა.ნ. სეროვი იყო გერმანელი მონათლული ებრა-

ელის კარლ გიბლიცის შვილიშვილი, რომელიც რუსეთში იყო სენატორი და ტავრიშის ოლქის ვიცე-გუბერნატორი. სეროვი პიანისტ ვალენტინა ბერგმანზე დაქორწინდა, რომელმაც რუსეთს გენიალური მხატვარი ვალენტინ სეროვა აჩუქა.

სახელგანთქმული საბჭოთა კომპოზიტორი ტინონ ზრენიკოვი სტალინის ეპოქის ყველაზე შავ დღეებში კომპოზიტორთა კავშირს ხელმძღვანელობდა. იგი როგორც შექმლო, იცავდა თავის კოლეგებს შევიწროებისაგან. 1997 წ. „საერთაშორისო ებრაულ გაზეთში“ ზრენიკოვი წერდა: „კოსმოპოლიტიზმთან ბრძოლის პერიოდში ებრაელებს ვიცავდი. ჩემი უფროსი და ცეიტლინი და მეც დაქორწინებულნი ვიყავით ებრაელებზე. მე და ჩემი მეუღლე კლარა სულ მალე ერთად ცხოვრების 60 წლისთავს ვიხეივებთ“.

1992 წ. ისრაელში საგასტროლოდ იმყოფებოდა ცნობილი საბჭოთა მსახიობი ინოკენტი სმოკტუნოვსკი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა: „ჩემი მეუღლე ებრაელია. მას შლომიტი ჰქვია. იგი იერუსა-

ლიმში გოდების კედელთან ახლოს დაიბადა. 30-იან წლებში დედამ ყირიმში წაიყვანა, სადაც ებრაული კომუნები იქმნებოდა. ჩემი სიდედრი მხოლოდ 2 წლის წინათ დაბრუნდა იერუსალიმში.“

როგორც ხედავთ, ეს თემა ამოუწურავია, ამიტომ ნათქვამით დავემყოფილდებით.

500 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ებრაელები აიძულეს ესპანეთიდან წასულიყვნენ. მაგრამ ყველა არ წასულა. ებრაელი არისტოკრატები, რომლებმაც კათოლიციზმი მიიღეს (მარანები) ესპანეთში დარჩნენ და დროთა განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ – გაქრნენ, როგორც ებრაელები. მათ შთამომავლებს შორის არიან – მწერალი მიგელ სერვანტესი და მიშელ მონტენი, გენერალი ფრანკო, იოსებ ბროზ-ტიტო და ფიდელ კასტროც კი. დღევანდელ ესპანეთში დიდი პატივია იყო მარანების შთამომავალი. ეს ნიშნავს, რომ შენს გვარს 500 წლის ისტორია აქვს! იმედა, რომ ჩვენი შორეული თანამემამულენი სიამაყით იხსენებენ თავიანთ წინაპრებს, მათ, ვისეც ამ ჩანაწერში გიამბობდით.

ლ. რატნერი
„Еврейский мир“,
16-04-2007.

რას ვპირობდით
ამ კვირასში?
რუბრიკის უძღვებია
საქართველოს მთავარი
რაბინი
არიელ ლევინი



ამ თავში მოთხრობილია იმ
თორმეტ მწვერავზე, ტომის ბე-
ლადზე, რომლებიც უდაბნოდან წა-
ვიდნენ ისრაელის მიწის დასა-
ზღვრად. ათმა მათგანმა არ მო-
ინდომა იქ შესვლა, რისთვისაც
ისინი დაისაჯნენ.

მწვერავების ცოდვა უფრო მძი-
მია, ვიდრე ოქროს ვერძის ცო-
დვა. რატომ? იმიტომ, რომ ეს
შეუფერებელი, უმადლო ბოროტი
ენები იყო (ლამონ პარა), ეს არ
ყოფილა, რაც მოხდა, ოქროს ვე-
რძის შემთხვევაში. და, მიუხედა-
ვად იმისა, რომ მწვერავებმა სცა-
დეს თეშუბაზე მოსვლა, ისინი მა-
ინც დაიხრცნენ უდაბნოში. სფო-
რნო სთვლის, რომ ეს მოხდა გა-
მჩენის სახელის შებღალვის ("ნი-
ლულ") გამო, იმის გამო, რომ
ისინი გამჩენის იმდებზე არ იყვნენ.
"რატომ მოგვიყვანა აქ – იმი-
ტომ, რომ ხმლით აგვიჩხონ?" –
და გამჩენმა არ მიიღო მათი თე-
შუბა, რადგანაც გამჩენის სახე-
ლის შებღალვა სიკვდილით გამო-
ისყიდება.

რამაში უმატებს, ისინი და-
ისაჯნენ იმიტომ, რომ თქვეს: „და-
ებრუნდებით ეგვიპტეში და ვი-

ცხოვრებთ იქ თორისა და მიცვე-
ბის გარეშე. აქედან კავად ჩანს
რამდენად მძიმეა გამჩენის სახე-
ლის შებღალვის ცოდვა და რა-
ოდენ დიდაა გამჩენის განდიდების
("კიდუშ") მიცვა.

ერთხელ ერთი ბავშვი ძალიან
მძიმედ დაავადდა და საავადმყო-
ფოში მოხვდა. ერთი წლის შე-
მდეგ, როცა ბავშვი გამოჯანმრთე-
ლდა, მშობლებმა გადაწყვიტეს,
რომ მათი ვალია იზრუნონ ამ
სავადმყოფოში მოხვედრილ ბა-
ვშვებზე.

"იოსების ტომი, მენაშეს ტომი".
რატომ წერია ასე? უნდა იყოს
"ეფრაიმის ტომი, მენაშეს ტომი".
კომენტატორი გვიხსნის, რომ ჩვე-
ულებრივ იოსებთან ეფრაიმი დგას,
ახლა კი – მენაშე. ეფრაიმის ტო-
მიდან მწვერავად იეპოშუა ბინ
ნუნი წავიდა, რომელიც ისრაელის
მიწაზე მხოლოდ კარგს ამბობდა
და ამიტომაც არ შეუცოდავს სხვა
მწვერავებთან ერთად. მენაშეს ტო-
მის მწვერავი კი იმ ათიდან, რო-
მელნიც ცუდად მოიხსენიებდნენ
ისრაელის მიწას, ერთ-ერთი იყო.
იოსები ძმების ცუდს მამას უყუ-
ბობდა, მისი შთამომავალიც მენა-
შეს (იოსების ვაჟიშვილის) ტო-
მიდან ლამონ პარას ამბობდა ისრა-
ელის მიწაზე. გამოდის, რომ ლა-
მონ პარას თქმის ძალია იოსები-
დან გადავიდა მენაშეს ტომზე. (ამა-
სთან, ეფრაიმი აქ ცალკეა მოხსე-
ნიებული, რადგანაც იეპოშუა არ
შეუერთდა მწვერავებს). აქედან
კარგად ჩანს, თუ რა ძალია აქვს
ლამონ პარას, რომ ის ჯერ ერთი
თაობებს გადაეცემა, და მეორეც
ის, რომ ნათქვამი სიტყვა რჩება
და მას ვერაფრით წაშლია. მაგა-
ლითად, თუ ადამიანზე ვინმეს
უთხარით, რომ ის იტყუება, შე-
მდგომში, რაც არ ყნდა ეცადოს
ეს ადამიანი, მსმენელს მის შესა-
ხებ შთაბეჭდილებას ვერ შე-
უცვლია.

„და აიძულა კალევა გაჩუ-
მება“.

უღას

რამი გვიხსნის, თუ როგორ
აიძულა გაჩუმება. მან თქვა, განა
მხოლოდ ეს გააკეთა ამრამის ძემ
(მოშემ), ანუ ის არ მოიხსენია
სახელით. "სიფთვი ჰახაიმ" გვი-
ხსნიან, რომ ის, ვისაც მოძმე
უყვარს, მას სახელით მოიხსენი-
ებს. ასევეა შაულთანაც, როცა
ის ეკითხება იონათანს: "რატომ
არ მოდის იშაის ძე?" იონათანი
პასუხობს: "უნდა კვითხით თა-
ვად დავიტოვო". აქ შაული განრი-
სხდა, რადგანაც იონათანმა და-
ვითი სახელით მოიხსენია (რაც
მისი – დავითისადმი სიყვარუ-
ლის ნიშანია). წერია "მეგელათ
ესთერში": "და უთხრეს მეფის
მსახურებმა: არაფერი გაგვიკეთე-
ბია მისთვის (მორღეზისათვის)".
გემარამი ამის შესახებ წერია, რომ
მათ ასე თქვეს არა მორღეზისა-
დმი სიყვარულის გამო (რათა ის
დაეჯილდოებინათ), არამედ ამა-
ნის სიძულვილის გამო. და ეს
გასაგებია, რადგანაც მორღეზი სა-
ხელით არ ახსენეს. სახელის და-
რქმევას რაც შეეხება, არ ღირს
ახალი სახელების ძებნა. არის
ასეთი ფასუქი "ჩემი სახელი და
ჩემი წინაპრების სახელი" ("ბე-
რეშითი", აკობის სიტყვები), აქე-
დან გამომდინარე, უნდა დავარქვათ
ებრაულ ტრადიციაში ცნობილი
სახელები.

"და აიძულა კალევა გაჩუ-
მება... და თქვა: „ავალთ და მი-
ვიღებთ მეგვიდრობად მას (ისრა-
ელის მიწას)“.

რატომ დღემდე იეპოშუა? მე-
შეს ხომბა გვიხსნის, მთავარი,
რის გამოც ებრაელებს ეშინოდათ,
იყო ის, რომ მათ იცოდნენ ელდა-
დისა და მეიდადის წინასწარმე-
ტყველება: „მოშე გარდაიცვალა
და იეპოშუა შეგვიყვანს ჩვენ ისრა-
ელში“. და როდესაც მათ ეს მო-
სმინეს, სულიერად დაეცნენ, რა-

დგან არ სჯეროდათ საკუთარი ძა-
ლების, და თვლიდნენ, რომ მო-
შეს გარეშე მტრებს ვერ გაუმლა-
ვებოდნენ. და ამიტომ კალევი
ამბობს: „ნუ ფიქრობთ, რომ მო-
შეს გარეშე ვერაფერს შეძლებთ,
თქვენ თავად გაქვთ ძალია „შე-
ვალთ და მივიღებთ მეგვიდრო-
ბას“. იეპოშუას ამის თქმა არ
შეეძლო, რათა არ ეთქვათ, რომ
ამას საკუთარი დიდებისა და პა-
ტივის მოსაპოვებლად ამბობსო.
ყოველ ებრაელს აქვს ძალია.

და შულხან არუხშიც (ევენ
ებერ) არის კანონი, რომ თუ ადა-
მანი ნახეთ სადმე და იმავე დღეს
ის ნახეთ სხვაგან, ისეთ ადგი-
ლას, სადაც შეუძლებელია მო-
კლე ხანში მისვლა, უნდა იფი-
ქროთ, რომ ის იქ მივიდა „შემ
ამეფურაშის“ (გამჩენის განსაკუ-
თრებული სახელი, რომლის და-
ხმარებითაც ადრე სასწაულებს
ახდენდნენ) დახმარებით. ასე ჩა-
ვიდა რაბი იეპოშუა პანასი ტვე-
რიდან რომში კვირას იმპერა-
ტორ კალტიკოსთან, იმისდა მი-
უხედავად, რომ მან იმპერატო-
რის დანაბარები მხოლოდ შაბათ
საღამოს შეიტყო.

ადამიანის კარგი და ცუდი
თვისებები. რა თვისებები აქვთ
ჩვენს გამოჩენილ, დიდ ადამიანებს?
ერთხელ ხათამ სოფერმა მიიღო
შეკითხვა, რომელსაც მოკლე პა-
სუხი გასცა და თან ბოდიშიც
მიასწრა. იმის გამო, რომ მისი
მეუღლე მშობიარობდა, ვერ შე-
ვიდა მის ოთახში, სადაც მას ის
წიგნი ჰქონდა, რომლის დახმარე-
ბითაც სრული პასუხის დაწერა
შეეძლო. შესაძლებელია, ჩვენ და-
კვარავთ უდიდესი ხათამ სოფე-
რის პასუხი, მაგრამ მან მეუღლეს
მშობიარობაში ხელი არ შეუშალა.

„და დაეცა მოშე“. ასევე წე-
რია კორანთან დაკავშირებით („და
დაეცა მოშე სახით“). იბნ ეზრა
ორივე შემთხვევაზე გვეუბნება, რომ
მოშე დაეცა საკუთარი სურვი-
ლით. მაგრამ, როცა ლოცულო-

ბენ და ებრაელ ხალხს ავედრე-
ბენ, მაშინ „დაეცა“ – ეს ლო-
ცვაა. და ეს არის გულა (სიდი-
დე). როცა მათ მწვერავები ადა-
ნამაულებენ („და უჩიოდნენ ისინი
მოშეს“), და როცა კორანის მიერ
შეკრებილი პატივცემული ადა-
მანების წინაშე ამბობს: „რატომ
მალდებით თქვენ გამჩენის თე-
შე“, სწორედ იქ ეცემიან მოშე
და აპარონი სახით, ქეიშაში, მწვე-
რავებისა და კორანის თვალწინ.
მაგრამ ეს ხდება არა სულის ან
ფიზიკური სისუსტის გამო, არა-
მედ როგორც იბნ ეზრა წერს:
„საკუთარი ნებით, გააზრებულად,
და არა შურისძიების სურვილით,
არამედ ისევე, როგორც გამჩენი,
რომელსაც ესმის შეურაცხყოფა
და დუშმს“. და გვეუბნება გემარა
კიდემინი: „ბაბილონის ებრაელთა
დუმილი – ეს მათი კარგი გენე-
ალოგიის ნიშანია“.

„და იეპოშუა ბენ ნუნმა და
კალევი ბენ იეფუნემ... შემოიხიეს
ტანსაცმელი“. რატომ მათ და
არა მოსემ და აპარონმა? იმი-
ტომ, რომ მათ ეშინოდათ მწვე-
რავების გვერდით ყოფნისას ხომ
არ წაეცხოთ მათი საწამლაკი,
ამიტომაც შემოიხიეს ტანსა-
ცმელი, რათა ცოდვის სულ პა-
ტარა მტვერიც კი, რომელიც
მათ მიეკრა, ჩამოერეცხათ. და
რატომ იდგნენ ისინი მწვერავე-
ბთან? ისინი ხომ წმინდანები
იყვნენ, როცა მიდიოდნენ ისრა-
ელის მიწაზე? გვიხსნიან, რომ
მათ ეშინოდათ, რომ ებრაელები
უდაბნოში მიღებულ სულიერე-
ბას დაკარგავდნენ და უბრალო
მიწის მუშებად იქცეოდნენ. არის
კიდევ სხვა ახსნა, რომ მათ ეშინ-
ოდათ საკუთარი მდგომარეობის
დაკარგვისა, მაგრამ ეს მხოლოდ
ქვეცნობიერად ხდებოდა. აქედან
შეიძლება გაგვევლინოთ შემდეგი და-
სკვნა: ადამიანი, როცა რაიმეს
აკეთებს, უნდა შეამოწმოს საკუ-
თარი თავი, აკეთებს თუ არა ამას
გამჩენის სახელზე (ლემეშ მაშიამ).

ევრაზიის კონგრესის გვატყობინებს:

ისტორიული პრეტორი სინაგოგა გაიხსნა

ტალინში სახეიმიდ გაიხსნა სინაგოგა
"ბეთ ბელა". შენობა რომელიც XX სა-
უკუნის პირველ ნახევარში სინაგოგის ფუ-
ნქცია ასრულებდა, II მსოფლიო ომის
წლებში განადგურდა.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ ჩამო-
სული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ:
მსოფლიო ებრაული კონგრესის ვიცე-პრე-
ზიდენტი და ევრაზიის კონგრესის ვიცე-
პრეზიდენტი ალექსანდრე ბრონშტეინი. მშე-
ნებლობაში მნიშვნელოვანი წვლილის შე-
მტანი ევრაზიის კონგრესის პრეზიდენტი
ალექსანდრე მაშვეიჩი, ევრაპის ებრაელთა
კონგრესის პრეზიდენტი პერ ბისნაინი და
საბჭოთა ებრაელთა მხარდაჭერის ნაცი-
ონალური კონფერენციის აღმასრულებელი
დირექტორი მარკ ლევინი.

ტალინს ეწვიენენ აგრეთვე: ისრაელის
მთავარი რაბინი იონა მეცკერი, ისრაელის
სახელმწიფოს ვიცე-პრემიერი შიმონ პე-
რესი, ისრაელის ქნესეთის დეპუტატები:
რობერტ ილატოვი, მიხაილ ნუდელმანი
და იოსებ შაგალი. რუსეთის მთავარი რა-
ბინი ბერლ ლაზარი და რუსეთის „ვა-
ადის“ ვიცე-პრეზიდენტი რომან სპეკტორი.
უკრაინის ებრაელობას წარმოადგენდა ეაკს
და უკრაინის „ვაადის“ ხელმძღვანელი იო-
სებ ზისელსი.

– სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ
არცთუ ისე ადვილი გზის გაგლის შემდეგ
ესტონეთმა დაგვიანა დაღეს, რომ ემხრობა
ტოლერანტობის, საერთაშორისო ეთნიკური,

საერთაშორისო რელიგიურ პრინციპებთან
დაკავშირებულ დიალოგს – აღნიშნა მა-
შვეიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში. მან
განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ
ტალინურ ღონისძიებებს ესწრებოდა ესტო-
ნიეთის პრეზიდენტი ტომას ჰენდრიკ ილვისი,
ესტონეთის პრემიერ-მინისტრი ანდრეუს
ანსიპი, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინი-
სტრი ურმას პაეტი და ტალინის მერი
ედგარ სავისარო.

ასევე განაცხადა, რომ სინაგოგის, რო-
მელიც ბრონშტაინის დედის სახელს ატა-
რებს, გახსნამდე, ოფიციალურმა პირებმა,
უცხოური დელეგაციის წევრებმა, ესტონე-
თის მთავარი რაბინის შშუელ კოტას მე-
გზურობით მოინახულეს ყოფილი საკო-
ნცენტრაციო ბანაკის "კლუგას" ტერი-
ტორიები, სადაც ნაცისტებს მიჰყავდათ
ესტონელი ებრაელები, ებრაელები ევრო-
პის სხვადასხვა ქვეყნიდან, რათა გაენა-
დგურებინათ. ეს ადგილები გვირგვინებით
შეამკეს სტუმრებმა, აგრეთვე წარმოითქვა
მათი სულების მოსახსენიებელი ლოცვები.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი უმისზეოდ
დაღუპული ერთი დღეობის მორწმუნეების
ხსოვნა, რომლებსაც ინახავს ესტონეთის
სახელმწიფო და ხალხი შეძლებს შეაჩე-
როს ის ე.წ. "ახალი ანტისემიტობის" გა-
ვრცელება ევრო კავშირში, რომლის ტყვეც
დაღეს ესტონეთიც გახლავთ. განაცხადა
ევრაპის კონგრესის პრეზიდენტმა მა-
შვეიჩმა.

რუსეთში ვიზიტად იმყოფებოდა ამე-
რიკის ებრაული კომიტეტის დელეგაცია.
აქ აშშ-ში ერთ-ერთი წამყვანი ებრა-
ული ორგანიზაციაა, იგი ყოველწლიურად
ხვდება მსოფლიოს და ამერიკულ პოლი-
ტიკოსებს. დელეგაციას აქვს აღმასრუ-
ლებელი დირექტორი დევიდ პარისი ხე-
ლმძღვანელობდა, აგრეთვე წარმომადგე-
ნელი იყო რუსული პროგრამების დირე-
ქტორი სემ კლიგერი.

ვიზიტის პროგრამით აქვს მოსკოვში
მოლაპარაკებებს აწარმოებდა: რუსეთის
ფედერაციის ფედერალური საბჭოს თა-
ვმჯდომარესთან სერგეი მირონოვთან, რუ-
სეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს
მდივანთან იგორ ივანოვთან და სახე-
ლმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსტა-
ნტინე კუსაჩევთან. აქვს ხელმძღვანე-
ლობა შეხვდა აგრეთვე აშშ-ს სრულუ-
ფლებიან და საგანგებო ელჩის რუსეთში
უილიამ ბერნს.

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გე-
ნერალურმა მდივანმა მიხეილ ჩლენოვმა
დელეგატთა საპატივცემულოდ მიღება გა-
მართა მიღებზე სტუმრებს რუსეთის ებრა-
ული ქალი ლიდერები გააცნო. მათ მო-
რის: ებრაელ ქალთა საერთაშორისო ასო-
ციაცია "ხავას" პრეზიდენტი, მოსკოვის
ებრაული სათემო სახლის დირექტორი
ირინა შერბანი, რუსეთის „ვაადის“ აღმა-
სრულებელი დირექტორი დიანა სალგა-

ნიკი, ებრაელ ქალთა საერთაშორისო
ორგანიზაცია "პროექტი კემერი" დირე-
ქტორი სვეტლანა იაკიმენკო და მეცნიერ-
თანამშრომელთა ცენტრის დირექტორი
ვიქტორია მანალოვა.

ამას გარდა, ებრაელი ქალები სხვა
ებრაულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ:
რუსეთის ებრაული ნაციონალური კუ-
ლტურის ავტონომიის აღმასრულებელი
დირექტორი ნატალია შმიდტი, საქვე-
ლმოქმედო ფონდ „ფენიქსის“ პრეზიდე-
ნტი სვეტლანა მუტერპელი და რუსე-
თში ებრაული საავტორო ისრაელისათვის
საზოგადოებრივი და კულტურის კავშირთა
განყოფილების კოორდინატორი რიკა კუ-
ზნეცოვა.

მიღებას აგრეთვე ესწრებოდნენ რუ-
სულენოვანი მსოფლიო ებრაული კო-
ნგრესის დირექტორი მატევი ჩლენოვი
და რუსეთის ებრაული კონგრესის აღმა-
სრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლაი
პროპინი.

აქვს აღმასრულებელმა დირექტორმა
დავიდ პარისმა საზოგადოებრიობის წი-
ნაში სიტყვით გამოხვლისას დელეგაციის
ვიზიტის გეგმებზე ისაუბრა, მათ შორის
რუსეთის ოფიციალურ პირებთან განხი-
ლული ირანის ატომური პროგრამის პე-
რსპექტივაზე...

ავა საზოგადოებასთან და მასმედიათთან
ურთიერთობის დეპარტამენტი

სასიამოვნო დასვენება სასარგებლო და საჭირო ღონისძიებებთან ერთად



საგანმანათლებლო ცენტრი „თიფერეთ ცვი“ (ხელმძღვანელები რაბი არიელ ლევინი და რაბი ავიმელეხ როზენბლატი) კლუბი „მიშგაზა“ (ხელმძღვანელები აპარონ მდინარაძე და და-

ანა იაროსლავეცკა, კოორდინატორი – მაია თეთრაშვილი) ფარგლებში აწყობენ სემინარს ებრაული ახალგაზრდა ოჯახებისათვის აჭარაში – „მწკანე კონცხის“ მიდამოებში ამა წლის 27 ივნისიდან 1 ივლი-

სის ჩათვლით. სემინარის თემა ებრაული ოჯახი – შაბათი, ქაშრუთი, ოჯახური სიწმინდე-ლეციების ჩასატარებლად დაგეგმილია რაბინების მოწვევა სხვადასხვა ქვეყნიდან. გარდა ამისა, თქვენ გე-ლით საინტერესო ექსკურსიები და მხიარული გასართობი პროგრამები. ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. მსურველებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ჩასაწერად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის შემდეგ ნომრებზე:

98-38-21
93-34-13
897 11 97 48

მისი წვლილი

აბრამ ბუზიაშვილის დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა რეჟიმის ფარდის გარღვევაში, რომლის შედეგადაც მრავალი ქართველი და არა მხოლოდ ქართველი ებრაელი ავიდა ისტორიულ სამშობლოში. ბ-ნი აბრამი იხსენებს საპროტესტო აქციის დღეებს.

– 1967 წლიდან 1971 წლამდე რეგულარულად ტარდებოდა თბილისში საპროტესტო აქციები. ეს იყო მნიშვნელოვანი აქცია, მოთხოვნით წავსულიყავით ისრაელში. ხშირად ვიდექით კგბ-ს შენობის წინ, რეგულარულად ვაგზავნიდით წერილებს სხვადასხვა ქვეყანაში.

სახლშიც მომაკითხეს დასაპატიმრებლად, მაშინ შეიღებოდა პატარები მყავდა. ვუთხარი, ოჯახს გამოვემშვიდობები და წამოვალ-თქო. ერთ-ერთმა მათ შორის, ვინც დასაპატიმრებლად იყო მოსული, თვალი ჩამიყარა. შაბათი დღე იყო, მითხრეს ვინახს ორშაბათს მიიღებო. ელაშუილებს ვინა ჩემი ხელით შევეცხე, იგი ძალიან ავად იყო. ისრაელში 1 თვე იცოცხლა. ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირიდან 15 რესპუბლიკის განთავისუფლებაში დიდი წვლილი ჩვენ მიგვიძღვის. ჩვენი საქციელი რუსეთის და-ნგრევას ნიშნავდა.

ჩვენ საპროტესტო აქციებს ვაწყობდი. ვიყავით სულ გარეთ მშვიდრები და მოვიითხოვეთ ერთადერთს – ისტორიულ სამშობლოში ასვლას. ერთხელ ოიერის უფროსმა კინკაძემ ხელი მერა „დაანებეთ ამ საქმეს თავი, ხომ ხედავთ არ გამოდისო?!“ ჩემი ორი ამხანაგი ალბერტ ჯინჯიბაშვილი და აწ გარდაცვლილი ბინია ჯანაშვილი დაიჭირეს. 10 ტაქსით 50 კაცი მივიყვანე და ვუთხარი თუ მაგათ არ განთავისუფლებთ, ჩვენც დავეჭირე-თქო. პოლიციის ბრძანებით გაათავისუფლეს ისინი, მაგრამ შუ-

ადამისას ყველასგან ჩუმად კვლავ დაიჭირეს ისე, რომ მათი ადგილსამყოფელი 40 დღის მანძილზე არავინ იცოდა. მეორმოცე დღეს რუსთაველზე კლუბში მოიყვანეს და გვითხრეს, არ არსებობს არანაირი კანონი, რომ ესენი დაჭერილები გვეყავი-

ერთი არ გაიყიდება, ვფიქრობ, ყველა დაიჭირეს. ეს წიგნი რუბენ შიმშილშვილის ხსოვნას მიუძღვნენ. – ბ-ნი აბრამ, თუ აპირებთ სხვა წიგნის თარგმნას? – ვფიქრობ შლომო ჰამელეხის ვთარგმნო კვლავ. როგორ სჯიდა შლომო ჰამელეხი ხალხს – სიმართლითა და სიბრძნით. – თქვენ ადგენი წელია საქართველოდან წასული ბრძანდებით, მაგრამ კავშირს ქართველებთან და საქართველოსთან არ წვევთ. რითაა ეს სიბოროტე გამოწვეული?

– ჩვენ ვიბრძოდით ისრაელში წასვლაზე, იმიტომ რომ ისრაელი ჩვენი სამშობლოა, მაგრამ საქართველო ის ადგილია, სადაც დაეძაბეთ, საიდანაც მოვიდეთ. მე წასვლის დღიდან დავედიარ საქართველოში. იყო პერიოდი ვერ ჩამოვდიოდი, მაგრამ 18 წელია უკვე ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ. საქართველო იგივე ჩემი სამშობლოა, როგორც ისრაელი. ქართველი მეგობრები მე მართლ საქართველოში არ მყავს. მასხოვს 1974 წ. ამერიკაში ვიყავი. 26 მაისს შეიყარებინ ამერიკის ქართველები. მათ შორის იყვნენ კომუნისტებს გამოქცეული გეი გაბლიანი და მიტო სინდიგელ-სინჯივაშვილი. მათ გამოიტანეს საქართველოს დროშები და მიტინგი მოაწყვეს. მათ კვითხე რატომ არ ჩადგინათ საქართველოში-თქო? – მიპასუხეს, რუსებს ვთხოვთ ჩემს სამშობლოში ჩასვლა? მითხრა – ნიკოლოზი ებრაელებმა და-ამხესო და კომუნისტებსაც ეგები დაამხობენო. სურდა გამშალა მერე და მე ვთქვი: ამ სადღეობელს იმიტომ შევსვამ, რომ თქვენი მტრები დამერთამ ყველაგან დაღაჯვროს და საქართველო თავისუფალი მალე გვეჩაბოს.

– გმადლობთ. 6060 ლომია

– ჩვენ ვიბრძოდით ისრაელში წასვლაზე, იმიტომ რომ ისრაელი ჩვენი სამშობლოა, მაგრამ საქართველო ის ადგილია, სადაც დაეძაბეთ, საიდანაც მოვიდეთ. მე წასვლის დღიდან დავედიარ საქართველოში. იყო პერიოდი ვერ ჩამოვდიოდი, მაგრამ 18 წელია უკვე ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ. საქართველო იგივე ჩემი სამშობლოა, როგორც ისრაელი. ქართველი მეგობრები მე მართლ საქართველოში არ მყავს. მასხოვს 1974 წ. ამერიკაში ვიყავი. 26 მაისს შეიყარებინ ამერიკის ქართველები. მათ შორის იყვნენ კომუნისტებს გამოქცეული გეი გაბლიანი და მიტო სინდიგელ-სინჯივაშვილი. მათ გამოიტანეს საქართველოს დროშები და მიტინგი მოაწყვეს. მათ კვითხე რატომ არ ჩადგინათ საქართველოში-თქო? – მიპასუხეს, რუსებს ვთხოვთ ჩემს სამშობლოში ჩასვლა? მითხრა – ნიკოლოზი ებრაელებმა და-ამხესო და კომუნისტებსაც ეგები დაამხობენო. სურდა გამშალა მერე და მე ვთქვი: ამ სადღეობელს იმიტომ შევსვამ, რომ თქვენი მტრები დამერთამ ყველაგან დაღაჯვროს და საქართველო თავისუფალი მალე გვეჩაბოს.

– გმადლობთ. 6060 ლომია

– გმადლობთ. 6060 ლომია

31 მაისს კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის პროგრამით „საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა, რომელსაც საქართველოს ებრაული კულტურის ცენტრის და „მაკაბის“ პრეზიდენტი გურამ პაატაშვილი ხელმძღვანელობს, თბილისის ებრაულ სათემო სახლში ცნობილი ქართველი ებრაელის მხატვრის შალომ კობოშვილის წიგნის „მეთერთმეტე მცნება“ პრეზენტაცია მოეწყო.

„მეთერთმეტე მცნება“



წიგნი „მეთერთმეტე მცნება“ საქართველოში გამოიცა, სადაც მხატვრის ნამუშევრებია თავმოყრილი. წიგნში შესულია: ილია პაპისმედივის, შალვა კობიაშვილის, მიხეილ ჯანაშვილის, ოთარ სეფიაშვილის, ლელა წიწუაშვილის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები და ჩანაწერები. მასალები წიგნისათვის მოიძია ამერიკაში გამოძიებული გზებით „დავითის ფარის“ რედაქტორმა სიმონ კრიხელმა. წიგნის ყდაზე მოცემულია მხატვარ ცისანა ჯანაშვილის მიერ შესრულებული შალომ კობოშვილის პორტრეტი. წიგნის პროექტის ავტორები არიან: სიმონ კრიხელი, გიორგი სანადირაძე, პავლე გორდელაძე. გამოცემის რედაქტორი კი გახლავთ თინა ცაწავაშვილი.

პრეზენტაცია გახსნა გურამ პაატაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს: ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რეზო შათაშვილმა, ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორმა ზაირა დავარაშვილმა, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ელენე ბურკოვიჩმა, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლატმა, ხელოვნებათმცოდნე თამაზ საინიკიძემ, მკვლევარმა და ჟურნალისტმა ვანო ჯაფარიძემ, სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა თემურ პეტრიაშვილმა, გზხეთ „ფეხვეების“ დამფუძნებელმა, ადვოკატმა მოსე საპირმა, შალომ კობოშვილის შვილიშვილმა შალომ კობოშვილმა, ხელოვნებათმცოდნე ლელა წიწუაშვილმა, ფეხბურთელმა მა-

ნუჩარ მაჩაიძემ, სახალხო არტისტმა, მოცეკვავემ ომარ მხეიძემ, საქართველო-იტალიის საზოგადოების პრეზიდენტმა მარინა მხეიძემ, მხატვარმა მიხეილ იაშვილმა, მწერალმა უმანგი რიჟინაშვილმა, გზხეთ „დავითის ფარის“ თანამშრომელმა ირინა სამილენკომ, გზხეთ „ისტოკის“ რედაქტორმა გიორგი პონსენსმა, ცოდნის, ინფორმაციისა და ტრენინგის ცენტრის დირექტორმა ნანა იოსებაშვილმა, ჟურნალისტმა ვიოლეტა ბუზიაშვილმა, პროექტის ავტორმა პავლე გორდელაძემ და წიგნის რედაქტორმა თინა ცაწავაშვილმა. ღონისძიებაზე სიმღერა შეასრულა დავით მჭედლიძემ. რამდენიმე წიგნი სამახსოვროდ გადაეცა ებრაული სახლის ბიბლიოთეკას. 6060 ლომია



იოსებ ბუზიაშვილი

რწმუნობის სულიცხვეთა და სიღრმე, მოყვასისა და ღვთის სიყვარული, მრწამსის ერთგულება და საქმისადმი თავდადება.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1944 წლიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი მშობლიური ქუთაისის ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოში, შეთავსებით კი – №1 პოლიკლინიკაში და ხვეშთა მრავალპროფილიან საავადმყოფოში იღვაწით. უბადლო ექიმი-ნევროპათოლოგი პაციენტებისათვის ის ტკბილმოუბარი მკურნალი ბრძანდებოდა, რომლის მართლოდენ სიტყვაც კი სალბუნი იყო. მეგობარ-კოლეგების – ჩინებული ადამიანების: სიმონ ჩიქოვანის, ჭიჭიკო მდიანის, მირა (ლუბუ) მეგრელიშვილის, ზურაბ ნემსაძის, მიშა მოშაშვილის, შოთა დანელიას, ალექსანდრე (საშურა) კვიციანილისა და დავით ხახანაშვილის შესაიდუმლე, ყველა კეთილი ადამიანის სიხარულის თანხაირი, ბუზიაშვილების დიდი ოჯახის მოამაგე და მასავეთი საფიცარი, შვილმონაგარის სიამაყე ბრძანდებოდა!

მართლაც, რომელი მამა არ მოიწონებდა თავს, ან არ იამაყებდა ისეთი შვილებითა და შვილიშვილებით, როგორც თქვენი ქალიშვილი, ექიმი-რევმატოლოგი ქალბატონი მილიცა ბრძანდებდა, თქვენი ვაჟიშვილი იური ექიმი-კარდიოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, შვილიშვილები სიმონ (გაბ) მაქვანიშვილი, ექიმი-კარდიოლოგი, რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მარიცა მაქვანიშვილი ექიმი-ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ვიკა ბუზიაშვილი, რომელიც თქვენი მიმდევარი-ნევროპათოლოგია. ბატონო იოსებ! თქვენ მუდამ ამაყობდით თქვენი წარმომავლობით. ჩვენც ასევე ვამაყობდით და კვლავაც ვამაყვებით თქვენით.

ქუთაისის ებრაულმა თემმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, მოსკოვში, იანვარს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ექიმი-ნევროპათოლოგი იოსებ ბუზიაშვილი. ბრძენს უთქვამს: – ადამიანი, როცა დაბადე, ყველა შენს ირგვლივ იცინოდა. შენ კი ტიროდი. სიცოცხლე გეძლევა, რათა ისე იცხოვრო, როცა მოკვდები, ყველა შენს ირგვლივ ტიროდეს, შენ კი იცინოდე!.. ეს, უთუოდ, ერის რჩეულთა ხვედრია! თქვენც ხომ ერის რჩეული ბრძანდებოდით. ეს სიტყვაკაზმულობისთვის ნათქვამი როდია ასეთი განცხადების საფუძველზე საფუძველი თქვენი განწილი ცხოვრებაა, ბატონო იოსებ!

ალალ-მართალ, ტრადიციულ მრავალშვილიან ებრაულ ოჯახში დაბადებულ-ალზრდილმა ბავშვობიდანვე შეისისხლბორეთ ებრაული სა-

...გაივლის წლები, ჩვენ აღარ ვიქნებით, მაგრამ დარჩება ეს სიყვარული... დამართმა გზა გაგნათლოთ მარადიულ სასუფეველში! იური ზინხაძე

„მეორე“ მე-10 ნომერი დაბეჭდილი პროსპორდის პასუხები 1. ჰევეში. 2. ვილმტეტერი. 3. ბრაუნი. 4. პერუცი. 5. ჰაბერი. 6. ჰილბერტი. 7. ბაიერი. 8. ბერგი. 9. სტანი. ჰერცბერგი. რედაქტორი გურამ ბათიაშვილი

დაფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის II, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57